გლობალიზაცია, კონკურენცია და თანამედროვე ბიზნესის პერსპექტივები

GLOBAIZATION, COMPETITION AND PERSPECTIVE OF MODERN BUSINESS

თამარ თალაკვაძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

TAMAR TALAKVADZE
Doctoral student of Georgian Technical
University. Georgia, Tbilisi.

ანოტაცია

ნაშრომში განზოგადებულია ქართული და საერთაშორისო ეკონომიკური აზრის გამოცდილება გლობალიზაციის აქტუალური საკითხების კვლევასთან დაკავშირებით.

დღევანდელ პირობებში, საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანწილად ფარული, საერთაშორისო მონოპოლიები აზიანებენ, კვლევაში ჩატარებულია მრავალფაქტორული ანალიზი არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების გამოვლენასა და მათ საწინააღმდეგოდ გასატარებელი მექანიზმების ოპერატიული ამოქმედებისათვის.

არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები ხშირ შემთხვევაში ცდილობენ ხარისხის შენიღბული გაუარესების ხარჯზე მოახდინონ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა და მონოპოლიური მოგების მიღება.

ჩემი აზრით, კომპეტენციის შესაბამისად, მთავრობის მოქმედი ეკონომიკური სტრუქტურების ფარგლებში (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ანტიმონოპოლიური სამსახური, კონკურენციის სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) აუცილებელია მობილური ქვეგანყოფილებების ამოქმედება, რომლებიც ყოველი დარგისა და ქვედარგის (განსაკუთრებით ადგილობრივ უპირატესობათა გამოსაყენებლად.) თავისებურებათა შესწავლით, განსაზღვრავენ ხარისხის დეფორმაციებსა და ნორმებს ადგილობრივი ბაზრის დასაცავად.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, კონკურენცია, ეფექტური ზრდა.*

ABSTRACT

In my work is generalized Georgian and international economical experiences actual issues, in researches. Nowadays, when the Georgian economy is noticeably damaged by the international monopolies, the researches are analyzed to reveal the unconscientiously monopolies and we set in motion the working innovations. The dangerous monopolies often try to betray the consumers and beat the opponents in order to win the monopolies.

In my opinion, under the governmental economical structures such as: ministry of economy, the ministry of finance, antimonopoly service, the agency of state purchase. It's important to activate and subfields especially to use the local advantages with as peculiarities and they'll define the norms to defend the local markets.

Keywords*: globalization, competition, effective growth.*

ეკონომიკური კონკურენცია ეკონომიკის ეფექტური ზრდის აუცილებელი პირობაა, კონკურენცია გარკვეულწილად აბალანსებს ქვეყნის ეკონომიკას. მართალია, კონკურენცია ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად ჩნდება და მოქმედებს, თუმცა ადამიანს შეუძლია დააბრკოლოს, საერთოდ შეაჩეროს მისი ეფექტები ან საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში რაციონალური, ზომიერი კონკურენციის გზით მიიღოს მაქსიმალური ეფექტი მისგან. ამისთვისის კი აუცილებელია კონკურენციის დაცვა, ხელშეწყობა, განვითარება. ამიტომაც, მსოფ-

ლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზარზე დომინირებული ეკონომიკური აგენტების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენასა და პრევენციას და კეთილსინდისიერი კონკურენციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.

ჩემი აზრით, კონკურენცია აუცილებელია განვიხილოთ გლობალურ ჭრილში ვინაიდან თანამედროვე ფირმები მრავალ ბაზარზე ერთდროულად საქმიანობენ, რისთვისაც მათ ესაჭიროებათ კონკურენციის შესახებ ფართო წარმოდგენა და მის საფუძველზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების გზების დადგენა მუდმივად დინამიკურ გარემოში.

ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სოციალურმა,ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიო მიიყვანა მდგომარეობამდე, რომელსაც შეიძლება გლობალური ვუწოდოთ. ესაა ერთგვაროვანი, სამომხმარებლო გემოვნებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისით უნიფიცირებული ბაზარი. ძირითადად, ბაზრების კონვერგენციით სარგებლობენ გლობალური ორგანიზაციები, რომლებიც გლობალურ დონეზე აწარმოებენ სატანდარტიზებულ საქონელსა და მომსახურებას მასშტაბის ეკონომიის მიღწევის მიზნით, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ უფრო დაბალი ფასები მხოლოდ ეროვნულ დონეზე ორიენტირებულ კონკურენტებთან შედარებით. ამგვარად, გლობალური სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს საქონლის, ბრენდინგისა და სარეკლამო პოლიტიკის სტანდარტიზაციას.

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მე-19 ადგილი უკავია მსოფლიოში, რაც ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს ასახავს. ზემოაღნიშნული, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ ინერციის წყაროა, რომელიც 2010 წლიდან გვაქვს და თანდათანობით იმატებს. მე მაინც მიმაჩნია, რომ საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული დონის.

საქართველოს ბიზნესგარემოში ჩადებულია ის საძირკველი, რამაც შეიძლება ქვეყანა სწრაფად აქციოს განვითარებული ეკონომიკის მქონე, მაღალშემოსავლიან ქვეყნად. თუმცა, ამისათვის, საჭიროა არა ამ ინერციის ბოლომდე ამოწურვა, არამედ ახალი რეფორმების გატარება და ხარვეზების გამოსწორება. უცხოური პროდუქციის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის შემოსვლის შეფერხების მცდელობები საქართველოსთვის ცუდად დასრულდება.

გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ისეთი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები როგორებიც მაგალითად დიდი შვიდიანის ქვეყნებია: საფრანგეთი–85,7 (მე–20ადგილი) გერმანია(27–ე ადგიილი)–85,9 და აშშ(34–ე ადგილი)–74,8 . არ არიან მაღალ პოზიციებზე, თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მაღალია. ეს აიხსნება იმით, რომ მათი ეკონომიკური განვითარებისთვის არ არის აუცილებელი ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონე, რადგან აქვთ დიდი შიდა ბაზარი და მნიშვნელოვანი მოცულობის შიდა კაპიტალი. სამაგიეროდ, ვერ ვნახავთ პატარა ქვეყანას, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მაღალია და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში დაბალი პოზიცია უჭირავს. საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური კაპიტალი და სამუშაო ძალის მიგრაცია იქცა პატარა, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების განვითარების აუცილებელ პირობად.

საქართველომ გლობალიზაციის ინდექსში სწრაფი აღმასვლა 2006 წლიდან დაიწყო, რაც 2004-2007 წლებში გატარებული რეფორმების შედეგი იყო. აღნიშნულ წლებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს დღევანდელ ბიზნესგარემოს, რომელმაც გაუძლო ომს, ეკონომიკურ კრიზისს, პოლიტიკურ კრიზისებს და, ფაქტობრივად, უწყვეტ რუსულ აგრესიას. აღნიშნულ გამოწვევებს ემატებოდა კერძო საკუთრების უფლებების დაცვასა და სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები. ამ ფონზე, პარადოქსულია, როგორ ვითარდება დღემდე საქართველოს ეკონომიკა, რომლის ზრდაც, მართალია, ბოლო წლებში (2013-2015) შენელდა, მაგრამ საშუალოდ 4%-იან ნიშნულს მაინც აღწევს.

ეს პარადოქსი აიხსნება სწორედ ქვეყნის ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონით, რასაც საგადასახადო ლიბერალიზაციით, ლიბერალური საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკით, ბიზნესის წარმოებაზე, უცხოურ კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და ტურიზმზე რეგუ-

ლაციების შემცირებით, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებით, კორუფციის დონის მნიშვნელოვნად შემცირებით მივაღწიეთ.

გლობალიზაციის მაღალი დონე ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკა არ არის 70 ათას კვადრატული კილომეტრის ფართობზე ჩაკეტილი და 4.5 მილიონი ადამიანის საქმიანობით შემოფარგლული. ისევე, როგორც ესტონეთის ეკონომიკა (მე-8 ადგილი ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში) არ არის მხოლოდ 45 ათასი კვ.კმ.-ითა და 1.3 მილიონი ადამიანის საქმიანობით შემოსაზღვრული და ირლანდიის ეკონომიკა (მე-2 ადგილი ამავე ინდექსში) არ არის მხოლოდ 84 ათასი კვ.კმ. ფართობისა და 6 მილიონი ადამიანის იმედად.

ეკონომიკური გლობალიზაციის საკითხში წარმატებული ნაბიჯების გადადგმით ქვეყნის დამწყებ ბიზნესმენებსაც ეძლევათ პერსპეტივა საკუთარ ქვეყანაში აკეთონ შემოსავლიანი ბიზნესი. ამასთან აუცილებლად მიმაჩნია განხორციელდეს კონკურენციის ხელშეწყობა, ,,ფარული მონოპოლიების'' მკაცრი მონიტორინგი და დეზორიენტაცია. გლობალიზების ერაში, მეტწილად ჩაკეტილი ლოკალური ბიზნესის მოქმედების არეალი თანდათან ქრება, ვინაიდან, ინტერნეტმა მსოფლიო ბაზარი ერთიან დიდ ორგანიზმად აქცია და საერთაშორისო კონკურენცია დედამიწის ყველა წერტილში აღწევს. დავესესხები ჩემს მენტორს ბატონ რევაზ ლორთქიფანიძეს და მოგახსენებთ რომ, თუ ლოკალური ბაზრების პირობებში არაპროფესიონალიზმი და ე.წ. ჩაწყობა–ნაცნობობა გარკვეულწილად "ჭრიდა" მართვაშიც, ამჯერად, ორდინარული არაპროფესიონალიზმი მენეჯმენტში სულ უფრო მნიშვნელოვან ფუჭ დანაკარგებსა და საერთო ჩამორჩენას დაუკავშირდება.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალ დონეს ერთი ნაკლი აქვს: ასეთ ეკონომიკაზე გავლენას უფრო მეტად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები ახდენს, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკურ წარმატებებზე თუ წარუმატებლობებზე. ეს ნაკლი ანტიგლობალისტების საყვარელი თემაა. თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კრიზისისგან მიყენებული ზიანი ნაკლებია, ვიდრე გლობალიზაციის მიერ მოტანილი ეკონომიკური სარგებელი. ამის მაგალითი იყო თუნდაც საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპი 2005-2007 წლებში (საშუალოდ 10%), რომელიც ბევრად აღემატებოდა 2009 წლის 4%-იან ვარდნას.

გლობალიზებად გარემოში თანამედროვე ბიზნესს განვითარების მეტი პერსპექტივა აქვს გასათვალისწინებელია ის პროექტები რომლებსაც სახელმწიფო და კომერციული ბანკები ახორციელებენ ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით. მაგალითისთვის მოვიყვან სტარტაპის პროგრამას რომლის მიზანია დამწყებ ბიზნესმენთა მხარდაჭერა რათა მათ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნეს იდეები განახორციელონ, საკუთარი ბიზნესი დაიწყონ და სხვებიც დაასაქმონ. პროექტის მიზანია ინოვაციური სტარტაპ იდეების საშუალებით საქართველო მოინიშნოს მსოფლიოს გლობალურ რუკაზე, როგორც ინოვაციური ბიზნესის წარმოების ერთერთი მთავარი ეპიცენტრი.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ გასული წლის აგვისტოში მნიშვნელოვანი სახსრები გაიღო , 11მილიონი ლარის ოდენობით ,რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ხელი შეუწყო ასეთი მაღალტექნოლოგიური პროექტების მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან, დაეხმარა წარმატებულ კომპანიებს შემდგომი დაფინანსების მოსაპოვებლად და გასავითარებლად აწარმოონ აქტიური კომუნიკაცია ინვესტორებთან და დაინტერესებულ პირებთან.

ეხლა სტარტაპის საკითხს ოდნავ განვავრცობ საქართველოში, ტერმინი ,,სტარტაპი'' სულ ცოტა ხნის წინ გახდა აქტუალური. ინვესტორები დაფიქრდნენ, რომ ბიზნესის კეთების ტრადიციული ფორმები მსოფლიოში იცვლება და საჭიროა ამ ტენდენციის დროულად გათავისება. ინოვაციური ბიზნეს იდეების მფლობელებიც მიხვდნენ, რომ მხოლოდ იდეა მატერიალურ სარგებელს ვერ მოიტანს. იმისთვის, რომ იდეა განხორციელდეს, საჭიროა ინვესტიცია. მოთხოვნის გაჩენამ, წარმოშვა მრავალი ერთეული, ინკუბატორები და საშუამავლო სერვისები, რომელიც აკავშირებს მომთხოვნსა და მიმწოდებელს, იდეის ავტორსა და ინვესტორს. სტარტაპ იდეის მქონე ადამიანისთვის, მსგავსი შეთავაზება შესაძლოა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა გახდეს. იდეის არსებობა წარმატებისთვის არასაკმარისი პირობაა. მისი რეალიზები-

სთვის ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. არაერთი წარმატების ისტორია უნდა გახდეს ბიძგი იმისთვის რომ ინოვატორები დარწმუნდნენ, არ ღირს დამსაქმებლის მუდმივად ლოდინი, თვითდასაქმების პერსპექტივა საქართველოში უკვე არსებობს.

ის, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, სტარტაპ ბიზნესისთვის პირიქით, ხელსაყრელია. დიდ ქვეყნებში შექმნილ ბიზნესს უჭირს ლოკალური სივრციდან თავის დაღწევა და მანამ სანამ მოიცავს მთელს ბაზარს, განვითარების ტემპს ანელებს. პატარა ქვეყნებში სტარტაპების პროცენტული თანაფარდობა ერთ სულ მოსახლესთან მიმართებაში, 2-3ჯერ მაღალია. დამფუძნებლებმა თავიდანვე იციან, რომ თუ სურთ განვითარება, უნდა გასცდნენ ქვეყნის საზღვრებს და ეს მინიმალური დანახარჯით და მაქსიმალურად ინოვაციური იდეით უნდა გააკეთონ. სწორედ ამიტომ, საქართველო სტარტაპ ბიზნესის დაწყებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

თიბისი ბანკი აქტიურად ჩაერთო სტარტაპის პროგრამაში, რითაც ბევრ დამწყებ ბიზნესმეს მისცა თვითგამოხატვის და თვითდამკვიდრების შესაძლებლობა, თიბისი ბანკი ცნობილია არერთი წამოწყებით, როგორიცაა თუნდაც აგრო საინვესტიციო სესხის გაცემა, რომელიც საშუალებას აძლევს უბრალო გლეხს გააშენოს მრავალწლიანი კულტურა და გადახდა დაიწყოს საქმიანობიდან მოსავლის მიღების შემდეგ, 5წლიანი საშეღავათო პერიოდი,პერსპექტივაში სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებად მესახება, შესაძლიოა თანამედროვე ბიზნესის ამგავრმა ხელშეწყობამ ხელშეწყობამ მნიშვნელოვნად შეამციროს იმპორტირებული საქონლის ხვედრითი წილი ქართულ ბაზრებზე.

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. **რ. ლორთქიფანიძე**, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. 2014, lშ 978-9941-0-6301-5, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377

[2]. **რ. ლორთქიფანიძე**, კონკურენციის რაციონალური ძალის დაცვისათვის-მითიდან კანონზომიერების აღმოჩენამდე. - თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი". 2014, ISBN9789941073120(PDF),http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/697

[3]. **გრეგორი მენქიუ** –ეკონიმიკის პრინციპები.

[4]. **FORBES GEORGIA**. http://forbes.ge/blog/110/konkurenciis-roli-sabazro-ekonomikaSi